



საქართველო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

N 43 1259

18/12/2017

რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და „ე.ი“ ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104- მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გეგმა წინამდებარე ბრძანების დანართი N 1-ის შესაბამისად.
2. რეორგანიზაცია შეეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მოქმედი საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის, ადმინისტრაციულ, არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის და საფინანსო-საბიუჯეტო პირველად სტრუქტურულ ერთეულებს.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7).

კახაბერ მახათაძე

მუნიციპალიტეტის მერი